

აფუსის მიკროტოპონიმები
(სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)
AFUSI MICROTOPYNOMS
(STRUCTURAL AND SEMANTIC ANALYSIS)

გიორგი მულიანი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Giorgi Muliani Akaki Tsereteli State University

 <https://orcid.org/0009-0004-8652-1006>

საკვანძო სიტყვები: ფერეიდანი, აფუსი, ხუისპირი, ქახთული ტოპონიმები

Keywords: Fereydan, Afusi, Ruispiri, Georgian place names

ABSTRACT

Apusi / Afusi is one of the old settlements in Fereydan. In 1996, due to the increase in the number of its population, Afusi was given the status of a town. Based on the 2011 census data, its residents made 4 313 people (1 243 households).

The name **Afusi** is mentioned in Persian and Armenian sources, as well as in old documents and all the headstone inscriptions in the area. However, the Georgian sources and the memory of Fereydani people have kept the other name – **Ruispiri**.

Regrettably, the Georgian language is no longer spoken in Afusi as it has been completely forgotten, but it should be noted that the Afusi population is generally regarded as Georgian (e.g., on the Town Mayor's official website Afusi residents are called Georgians). The majority of the Afusi population is still proud of their Georgian origin.

The process of language attrition supposedly started in the 19th century. *Mohammad Safian* considered the frequent visits of the *Qajar* dynasty Princes, who used to hunt in Afusi, as a significant factor contributing to the language loss. According to the locals, the violence committed by Khans and rulers, and the failure of the Georgian speaking Afusians to defend their rights led the population to language attrition.

It is noteworthy that in "The Geographical Dictionary of Iran" (1954) Persian and Georgian are mentioned as the two languages spoken by the Afusi population.

As for the name of the settlement, the sources and folk speech suggest different versions: **Afusi/Afus, Apusi/Apus, Afruzi, Ruispiri, Rustavi**.

There are not many Georgian micro toponyms in Afusi. The geographical names are mostly composites (consisting of a determiner and a word it determines).

1. The words described by determiners are Georgian: გორა (gora – "a hill"), თავი (tavi – "a top"), რუვი

– "a rivulet"), ღელე (ghele – a river), (წყალი (ts)karo – "a spring"); ყელი (keli – "a neck, a gorge"), ყხა (kra – "division"), ჯვარი (jvari – a cross)...

ახალრუი (akhalrui – "a new rivulet"); დიდრუი (didrui – "a big rivulet"); ზედი რუი (zeit rui – "an upper rivulet"); თავვე რუი (tavke rui – "a downward rivulet"); ქოვიტ რუი (kovit ru – "a rivulet in a lower place")... სამზე ყარო (samze karo – "a full spring")... ხერსის ღელე (// ხირსი დარა (khersis Ghele/ khirsi dara – "a bear's river")... დიდგორა (didgora – "a big hill"); ქამარკელი (kamarkeli); მეროყრა (merokra<meore kra – "division for the second time"); მესამე ყრა (mesame kra – "division for the third time"); გაღოსთავი (galostavi < kalos tavi – "the top of a rock"); ნაონჯვარი (naonjvari < naomari jvari – "a cross that has been in a battle")...
2. Foreign (Persian, Turkish, Arabic) words are used as determiners: ბაყ (baak, Persian "garden"), დარეჰ (dareh "gorge")... გოლი (goli, Turkish "lake"), თაფე (tape "hill")... მაზრა (mazra, Arabic "field, grove"), მაჰალე (mahale "district"), ყალყე (kalkhe, Arabic "castle"), ყარ (kar "cave")...

ბაყე ნესარ (bake nesar – "a shadowy garden"); დარე სიბჰა (dare sibha – "apple valley"); ჩემშე ბალა (chemshe bala – "an upper stream"); ჩემშე ფაინ (chemshe pain – "a lower stream"); თაფე მუში (tape mushi – "mouse hill"); მაზრა მიანეჰ (mazra myaneh – "mid district"); მაჰალე მიანე (mahale miane – "mid region"); ყალყე ბალა (kalkhe bala – "an upper castle"); ყალყე ფაინ (kalkhe pain – "a lower castle")...

The Afusi dialect contains toponyms with Georgian affixes:

Toponyms with **სა-ე** (sa – e) confix: სა-ბუქრ-ე (sa-bukr-e), სა-თაფლ-ე (sa-tapl-e – "a place where honey can be found"); სა-კრ-ე (sa-kr-e < sakare – "a door bolt"); სა-ჩოგნ-ე (sa-chogn-e – "a place for rackets").

Words formed with **ნა-აღ** (na-al) confixes: **ნა-სეხ-ა-ღ-ი** (na-ser-al-i – “a former hillock”).

Words formed with **ნა-აჰ** (na-ar) confixes: **ნა-მახოღ-აჰ-ი** (na-makhodv-ar-i).

The Georgian micro toponyms of Afusi are a clear proof that at some time Georgians lived in that place and spoke the Georgian language. Over time, the linguistic situation has changed; In Afus, the Georgian language was replaced by Persian, which was more or less reflected in the geographical names.

ფერეიდანში, ირანის ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთ პროვინციაში, დღესაც ცხოვრობენ მე-17 საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ საქართველოდან გადასახლებული ქართველების შთამომავლები. ახალ მიწაზე ქართველებს ძირითადად დაუსახლებელ ადგილებში ასახლებდნენ. მათ არაერთ სოფელს ჩაუყარეს საფუძველი, სადაც გეოგრაფიულ ობიექტებს ქართული სახელები დაარქვეს. ზოგ სოფელში ქართული ენა კარგადაა შემონახული, ზოგში კი დავიწყებით, თუმცა ქართული მიკროტოპონიმია ჯერ კიდევ ცოცხალია.

კვლევის მიზანია შევისწავლოთ ფერეიდანის ერთ-ერთი ქართული დასახლების - აფუსის / აფუსის მიკროტოპონიმია და წარმოგაჩინოთ ქართული ენობრივი მასალა.

საკითხი აქტუალურია, რამდენადაც ის შეეხება ქართული ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის კვლევას საზღვარგარეთ, კერძოდ, ფერეიდანში ქართული ტოპონიმების აღნუსხვას და მეცნიერულ შესწავლას. აფუსის მიკროტოპონიმია სპეციალურად შესწავლილი აქამდე არ ყოფილა, რაც ჩვენი კვლევის **მეცნიერულ სიახლეს** განსაზღვრავს.

კვლევა ძირითადად ეყრდნობა ჩვენ მიერ საანალიზო დასახლებაში ჩაწერილ მასალას. დავამუშავეთ შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, წყაროები და გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტები. კვლევისას გამოვიყენეთ აღწერის, შედარების, შეპირისპირებისა და ანალიზის მეთოდები.

აფუსი ფერეიდანში ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქართული დასახლებაა. ის ჩრდილოეთით შეშავანსა და ზარნას, სამხრეთით ყებლესა და აფუსის მთას, აღმოსავლეთით ხოიგანსა და დაჟეგანს, ხოლო დასავლეთით სოფელ ახჩას ესაზღვრება. 1996 წელს აფუსს მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შედეგად ქალაქის სტატუსი მიენიჭა. 2011 წლის აღრიცხვით, მისი მოსახლეობა 4 313 ადამიანს (1 243 კომლს) შეადგენდა. ამჟამად ის ბუინ-მიანდაშდის შაჰრესთან ერთ-ერთი ქალაქია (ასლანი, 2021, გვ. 34).

აფუსის მოსახლეობის რაოდენობის, ენის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან ქართველი და უცხოელი ავტორები.

ნიკ. ყიფიანი ათამა ონიკაშვილის ნაამბობზე დაყრდნობით გაზეთ „დროებაში“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ აფუსში ცხოვრობს 700 კომლი (დროება, 1872, №13: 1).

ზ. ჭიჭინაძე, რომელიც, ასევე, ონიკაშვილის ინფორმაციას ემყარება, აფუსში 800 კომლს ასახელებს (ჭიჭინაძე, 1895).

ლ. აღნიაშვილის აღწერით, „აფუსში დღეს 260 კომლი იქნება“ (აღნიაშვილი, 1896: 191). „ყველა სოფლებში ერთნაირად ვერ არის დაცული ენა. ასე, მაგალითად, ახჩაში და აფუსში უხეიროდ ლაპარაკობენ და ნახევარმა თითქმის აღარც კი იციან“ (იქვე: 192).

ა. ჭელიძის აღწერით, აფუსში (რუისპირში) ქართულს იგინებენ. სოფელში 1300 სული ცხოვრობს (ჭელიძე, 1935: 170).

ალი რაზმარას ცნობით, XX საუკუნის 40-იან წლებში აფუსში 1010 ადამიანი ცხოვრობდა (რაზმარა, 1954).

ადგილობრივთა გადმოცემით, ფერეიდნელები პირველად აფუსში დასახლდნენ და შემდეგ აქედან სხვა სოფლებში გადანაწილდნენ: „ქართველები აველზე აფუსს მოსულან, ანქ ერთ დიდ კაცი ჰყოლიაყე ასლან ხანი, რაქთენ ძმანი ყოფილან და აღარ ვიცი, რაათი გაფყრებიან, ექით-ანქით გაფჟანტებიან. ჩონ აღებიც ანქით მოსულან სოფელჩი და იმის უკან გადმოსულან ჩულრუს“ (აქბარ ასლანი, სოფელ ჩულრუთის მკვიდრი, 90 წლის). ამ მონათხრობს ერთგვარად ადასტურებს ლადო აღნიაშვილის ინფორმაცია აფუსში ძველი საცხოვრებელი ადგილების ნანგრევების არსებობისა და წარსულში ბევრი მოსახლის ცხოვრების შესახებ (აღნიაშვილი, 1896, გვ. 189). აღნიშნულს სარწმუნოს ხდის აფუსსა და ზემო ფერეიდანში საერთო გვარების არსებობაც.

„აფუსი ერთი მთის კალთაზეა ისე სასიამოვნოდ შეფენილი, რომ კაცი თვალს ვერ მოაშორებს“ (აღნიაშვილი, 1896, გვ. 192). „ზამთარი ძალიან ცივი იცის და ხანგრძლივი, ისეთი თოვლი მოდის თურმე, რომ ბანიდან ბანზე გადავდივართ, მეზობლებთან მისვლა რო გვინდოდეს, მითხრეს აფუსელებმა. ამ დიდ ზამთრის შესახებ აფუსში გამოუთქვამთ ხალხს შემდეგი ლექსი სპარსულს ენაზედ, „ბადაზ ჰავთად, ბარქ იაფთად; ბაჰაყე ინ ფირ, ბე ყადრე დე ინ თირ“ (იქვე: 188).

„აფუსელნი ქეიხიანნი არიან, ხანებიც არიან: რაქთენი ხანი ჰყავყე. ერთიც ქურთული ხანი ჩამაჯდომიაყე იქ. აფუსს ნამაი წყალი და ნამაი ბალებიც ბევრი აქ. იმით ჰასილები თოულის ქვეშ შაჰყვებისყე“ (ჩიქობავა, 1927, გვ. 241).

სომეხი ისტორიკოსი ჰარუთუნ დერჰუჰანიანი წერს: „1724 წელს, როდესაც მაჰმუდი ოსმალეთთან ომისგან განთავისუფლდა, ირანის დასავლეთის მხარეში ერთი კაცი, სახელად ფერეიდუნ ხანი, აჯანყდა და 80 000-კაციანი ჯარით მაჰმუდისკენ დაიძრა. როცა ჰამადანს მიაღწია, ფერეიდუნს მუსლიმთა დიდებულები მასთან მივიდნენ და დაბოლმელებმა სომეხებზე ცუდი თქვეს, რომ მათ ავღანელთა ლაშქარი აქ მოიყვანეს და ჩვენი სოფლები გაანადგურეს და დახოცეს. ფერეიდუნ ხანი დაჰპირდა, რომ შურს იძიებდა. იქიდან ბორბორუს მივიდა და სოფელ ჩამან სოლთანში დაბანაკდა. აქედან 6000 კაცი თავისი ჯარიდან სომეხური სოფლების

გასანადგურებლად გაგზავნა. ეს 6000 კაცი, როცა ფერეიდანში მივიდნენ, სოფელ ჰეზარ ჯირიბის ირგვლივ დაბანაკდნენ და დონბე ქაშარის მთების დასავლეთით, ავღანელთა თავდასხმის მოსაგერიებლად გუშაგები დააყენეს. დაბანაკების შემდეგ სომეხთა ერთი ჯგუფი დააპატიმრეს და უნდოდით მეორე დღეს ჰეზარ ჯირიბის მთელი მოსახლეობა დაეხოცათ და მათი მთელი ქონება გაეძარცვათ. მაგრამ ღმერთმა ხალხი ამ უბედურებისაგან იხსნა. დონბე ქაშარის მთებში მდგომმა გუშაგებმა ავღანელები შორიდან შეამჩნიეს და თავიანთ მეთაურს აუწყეს, რომ ის ჯარის რვა კაცთან ერთად ერთ სიმაღლეზე ავიდა და იქიდან, რადგან შეამჩნია, რომ ავღანელთა ლაშქარი სოფელ ზარნას მისწვდა, თავის ბანაკში დაბრუნდა და სწრაფად მთებისკენ გაიქცა. როდესაც სეიდ ალი ხანმა მათი გაქცევა შეიტყო, მათ დაედევნა და მათგან იმდენი დახოცა, რომ მარტო 1000 კაცი გადარჩა და გაიქცა და ფერეიდუნ ხანს აცნობეს. ავღანელები უკან დაბრუნდნენ. ჰეზარ ჯირიბის სოფლის მოსახლეობას ურჩიეს, რომ იქიდან გაქცეულიყვნენ, იმიტომ რომ ისინი მეორე დიდი ჯარით მოვიდოდნენ და დაუნდობლად ყველას დახოცავდნენ. სოფელებმა ავღანელების რჩევა გაითვალისწინეს და ზარნაში წავიდნენ, მაგრამ ავღანელები ქაჭიზის ფართო ველის გზას გაუდგნენ. ფერეიდუნ ხანი ფერეიდანში მოვიდა და სოფელ აფუსში დაბანაკდა. იქაც იმ სოფლის მუსლიმმა დიდებულებმა ნაცარი თავზე გადაიყარეს და სახეტალახიანი, სომხებზე ცუდი თქვეს, რომ მათ ავღანელთა ლაშქარი მოიყვანეს და ჩვენი სოფლები გაანადგურეს. როცა ფერეიდუნ ხანმა მეორედ სომხებზე ცილისწამება გაიგო, სომხური მოსახლეობის დახოცვა ბრძანა. ფერეიდუნ ხანის ჯარი გავიდა და ოთხ სომხური სოფლის – მარყდერაზის, ხოიგანის, დაშქასანის და ჰადანის მოსახლეობა ხმლით გამოასალმა, მათი მთელი ქონება გაძარცვა და ზოგი დაატყვევა და ბანაკში უკან დაბრუნდა“ (დერ-ჰუპანიანი, 1888, გვ. 175-176).

„...აფუსს წინად ორი სახელი ჰქმევია. ჯერ ყოფილა ამის ადგილს დეი (სოფელი) რუისპირი, შემდეგ დეი (სოფელი) რუსთავი, მაგრამ დღეს წინადა ამ სოფლების ოდესმე არსებობისა მხოლოდ ორი სახლის ნანგრევია დარჩენილი შიგ სოფლის პირში. უწინ ის სოფლები დიდებიც ყოფილა და, როგორც მოუთხრობენ დღესაც აფუსელები, ათას კომლამდე მცხოვრები ჰყოლია. დღეს კი განახლებულ სოფელს მიუღია სახელწოდება აფუსისა და მცხოვრებიც, სულ რომ ბევრი, 240-260 კომლამდე მეტი არ ეყოლებას“ (აღნიშვილი, 1896, გვ. 189).

სეფიანის აზრით, ტერმინი აფუსი სპარსული არ არის და უფრო ქართულ სიტყვას ჰგავს (სეფიანი, 1979, გვ. 251). სახელწოდებასთან დაკავშირებით ადგილობრივების აზრი ორგვარია:

1. დასახლების სახელი მომდინარეობს **აფუსა-დან**, სადაც ადრე აფუსელები საქართველოში ცხოვრობდნენ (afous.blogfa.com); 2. მეორე მოსაზრება

უკავშირდება სიტყვა **აფსუს**’ს. ამ ვერსიის თანახმად, მოსახლეობა სხვადასხვა მიზეზის გამო სულ წუხდა და წუხილის გამოხატვისას ხშირად ამბობდა „**აფსუს**“ და აქედან გამომდინარე დაერქვა. „აფსუს, რომ წყალდიდობა მოხდა“; „აფსუს, რომ მემამბოხებმა სოფელს თავს დაესხნენ და ახალგაზრდები დაგვიხოცეს“... ასევე, ძველი ადგილსამყოფელის გახსენებისას ამბობდნენ: „აფსუს, რა ადგილი და-ვკარგეთ“ მოგვიანებით ბიბი ხათუნის მოწოდებით **აფსუს**-ის ნაცვლად **ს**-ს წაშლით **აფუსი** ეწოდა (ას-ლანი, 2021, გვ. 35).

აფუსის მკვიდრის – ჰედაიათ ჭარაპბახშის თქმით, **აფუსი** ნიშნავს „მინას მდინარის პირას“ (ნახუცრიშვილი, 2020, გვ. 20).

სპარსულ და სომხურ წყაროებში ნახსენებია **აფუსი**. ძველ საბუთებში, ასევე, საფლავის ქვებზე ყველგან **აფუსი** გვხვდება. ქართული წყაროები და ფერეიდნელთა ისტორიული მეხსიერება **რუისპირს** გვახსენებენ.

„ჰა, მამაგონდა, ესეები პირველად აფუსში ყოფილან, **აფუსი** ხო იცი, რა არი? მე წაველ აფუსში, სადაც **რუისპირს** ეძახიან ეხლა. ექა და წაველ ვიყავ ერთ ბებერებთან, ბერკაცებთანა და დავსხედით და, ლაპარაკი ამისხნა ქართველებზე და ესე და როგო მოსულან და როგორ მოხდა ესე აფუსჩი, აფუსჩი ასლან ხანი როგორ მოვიდა. ემან თქო, ეს ქართველები რო ჩამოედნენ, ნეჯაფაბადში იყნენ და ესე მოედნენ, ასლან ხანი შაჰაბასმამ დასო იქა ფერეიდანის, ფერეიდანის რა? უფროსზე, უფროსად და ასლან ხანს ხუთი ძმა ჰყვანდა და ასლან ხანმამ მაჰმადიანობა მიიღო, დანარჩენ ოთხ ძმამ ეშუღლა, რაათ შენ მაჰმადიანი გახდი, ესე უკან გომოოდგენ ემას, დიდ ძმა მოკლან, რატომ შენ ქრისტიანობა გოოში, მოხელ მაჰმადიანობა და ემემ მოდდა, ასლან ხანმამ თავი თითანა ჰყვანდა, ერთ ჯგუფი ჰყვანდა ხომ ტომი და ესეები, მოდდა-წავიდა აფუს-ჩი, აფუსჩი მოდდა, ოთხი ძმამ გომოოდგა, აფუსჩი არ ვიცი როგორ, ეხლა შაჰ აბასმამ მეეშუღა როგორ, ემ ძმებმამ ვერ მოკლენ, ასლან ხანი ვერ მოკლენ და სამში და კიდევ სამში უმცროსი ძმებმამ მაჰმადიანობა მიიღნენ, დარჩა ერთი, ყველაზე პატარა, ხანჯან ერქვა. ხანჯანა ყველაზე უფრო მაგარი კაცი იყო და არ უნდოდა მაჰმადიანობა მიიღოს: ხო, ემამ მოვიდა დაშქესანაში, დაშქესანაში მოვიდა და ერთ რაქტენ, ერთ დაახლოვებით ერთ სამოცი წელის უკან, მერე, მერე მაჰმადიანობა მიიღო ხანჯანამ, ხანჯანამ ჩამოვიდა ჩონ პირველი თაობას ემე’რი, ჩონ პაპა, ეს სამორო რო არი ელა ზედ უწერია“ [ქედ. შაჰინა მულიანი].

საინტერესო ფაქტია, რომ აფუსში ყოველწლიურად, მაისში, მოსავლის აღების პერიოდში, იმართება ფესტივალი, რომელიც სხვაგან არსად არ ტარდება და ცნობილია როგორც ქალთა მეფობის დღე ან მოსავლის ფესტივალი, რომელსაც თავისი წეს-ჩვეულებები და კანონები აქვს. ამ დღეს ქალები ირჩევენ მეფესა და ვეზირებს და გასცემენ ბრძანებებს. მამაკაცები აუცილებლად სოფლიდან

უნდა გავიგოთ და თუ შემთხვევით ვინმე აღმოჩნდა, დაისჯება. ამ ტრადიციას ასე აღწერს არნ. ჩიქობავა: „იმათაც იცოდეს ზაფხულში... ერთი უფროსის ხანის ცოლი თუ დედაკაცი იყო, ერთი დღეს წასლა იცოდიან სარაბზე. რაცღა დედაკაცი იყვისყე აჭუსში, მაფხეთიანყე და წავიდიანყე; ის უფროსი დედაკაცი იმათ მეფედ იყვისყე... ერთ კირას ემათ ელ ეგრე იცოდეს, რო სუ ქალები იყვიანყე, თუ კაცი დაინახიან იმ ახლებში, შემოუდგინ, დაიჭირიან, მაიყვანიან იმ დღეს, იმ წყალში ჩააგდიან, ჩაალებენ და ამაიყვანენ... აღონებდიან თა სალომამდი. ვერ მინ ვერ გაიარისყე (გაიარისყე) იქებჩი. ერთ კირიას იმათ საქმე ეგრე იყვის, რო კაცის მანველი ვერ გაიაროს“ (ჩიქობავა 1927, გვ. 241).

აფუსში დღესდღეობით, სამწუხაროდ, ქართულად არავინ საუბრობს, ქართული ენა სრულიად დავიწყებულია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა აქაური მოსახლეობის ქართულ წარმომავლობაზე მიუთითებს (მაგ., ქალაქის მერის ოფიციალურ საიტზე აფუსელები ნახსენებია როგორც ქართველები). მოსახლეობის დიდი ნაწილი დღესაც ამაყობს თავისი ქართული წარმომავლობით.

ენის დავიწყების პროცესი, სავარაუდოდ, ყაჯართა დინასტიის დროს, მე-19 საუკუნიდან უნდა იყოს დაწყებული. მოჰამად სეფიანის აზრით, აფუსში ყაჯართა დინასტიის უფლისწულების ხშირმა სტუმრობამ სანადიროდ დააჩქარა და ხელი შეუწყო ენის

დაკარგვის პროცესს (სეფიანი, 1979, გვ. 257). ადგილობრივთა ახსნით, ხანებისა და მმართველების ტირანია და ძალადობა და ქართულენოვან აფუსელთა უწინარობა უფლებების დასაცავად მოსახლეობას ენის დავიწყებისკენ უბიძგა.

ნასრინ ასლანი თავის წიგნში აფუსელთა ენის დაკარგვას ორი მიზეზით ხსნის:

1. რეზა შაჰ ფაჰლავის დროს რეგიონში მოსულ ლორთა (ქურთთა) ტირანია და ძალადობა და მათმა სურვილმა – ქართულად მოსაუბრე აფუსელებზე გაბატონებულიყვნენ, აფუსელები აიძულა, რომ ხანების ჩაგვრისაგან დასაღწევად დაევიწყებინათ ქართული ენა.
2. ისპაანის მმართველმა, ყაჯართა უფლისწულმა ზილ ალ-სულთანმა, რადგან მას არ ესმოდა ქართული, აფუსში ნადირობისას უბრძანა მოსახლეობას, რომ მომავალ წელს ის ამ სოფელში რომ მოვიდოდა, აღარავის ქართულად აღარ ესაუბრა. ამის გამო ხალხმა დასჯის შიშით აღარ ილაპარაკა ქართულად; ერთ დღესაც მოსახლეობა შეიკრიბა სოფლის მეჩეთში და ყველამ დაიფიცა, რომ აღარავინ აღარ ისაუბრებდა ქართულად (ასლანი, 2021, გვ. 36-37).

საინტერესოა, რომ „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც 1954 წელს გამოიცა, აფუსის მოსახლეობის სასაუბრო ენად სპარსულს და ქართულს ასახელებს (რაზმარა, 1954, გვ. 24).

სპარსული საბუთი (1900 წ.)

დასახლება სხვადასხვა სახელწოდებით / ვარიანტით გვხვდება წყაროებსა და ხალხურ მეტყველებაში:

აფუსი / აფუს (გაზ. „დროება“ (1872, №13); მოჰამად მეჰდი ესფაჰანი (1870); ჰარუთუნ დერჰუჰანიანი (1880); ადგილობრივი ძველი საბუთები (1888); ლადო აღნიაშვილი (1896); სეიფოლა იოსელიანი (1922); იური მარი (1925); ალი რაზმარა (1949); ჯაბერი ანსარი (1954); მოჰამად სეფიანი (1979); ფერეიდნელი ქართველები; ოფიციალური დღევანდელი სახელი).

აფუსი / აფუს (გაზ. „დროება“ (1877, №187); ზაქარია ჭიჭინაძე (1895); ლადო აღნიაშვილი (1896); სეიფოლა იოსელიანი (1922); იური მარი (1925); ამბაკო ჭელიძე (1935).

აჭრუზი (გაზ. „დროება“ (1877, №186; 1895, №47).

რუის პირი / რუისპირი (ლადო აღნიაშვილი (1896); ამბაკო ჭელიძე (1935); ირაკლი კანდელაკი (1944).

რუსთავი (ლადო აღნიაშვილი (1896).

აფუსი / რუისპირი (ალი რაზმარა, 1954).

აფუსში დღესდღეობით ქართული სიტყვები თითზე ჩამონათვალია. ქართული მიკროტოპონიმებიც შედარებით მწირია. აფუსის მიკროტოპონიმები წარმოების მიხედვით არის რთული (რამდენიმე სიტყვისგან შედგენილი) და აფიქსებით ნაწარმოები.

I. აფუსის გეოგრაფიული სახელწოდებები ძირითადად რთული აგებულებისაა (მსაზღვრე-

სპარსული საბუთი (1925 წ.)

ლ-საზღვრულის ტიპისა). მსაზღვრელი არის როგორც ატრიბუტული, ასევე, მართული (ნათესაობით ბრუნვაში მდგარი). საზღვრულ წევრად იხმარება როგორც ქართული, ისე უცხოური სიტყვები.

მიკროტოპონიმებს განვიხილავთ ინდიკატორების მიხედვით.

1. საზღვრულად წარმოდგენილია ქართული სიტყვები: **ბროლი**, **გერდი** (<გვერდი), **გორა**, **თავი**, **რუვი/რუი**, **ღელე**, **ყარო** (<წყარო), **ყელი**, **ყრა**, **ჯვარი**... ამ ჯგუფის ტოპონიმებში საზღვრული, როგორც წესი, მსაზღვრელს მოსდევს.

ბროლი

მესაბროლი (< მესამე ბროლი).

გერდი (< გვერდი)

ვარაზგერდი (< ვარაზ გვერდი) – სახნავ-სათესი ადგილი. ფერეიდანში სარწყავი რუდან ყანებში შემავალ პატარა რუს **ვარა** ჰქვია. შდრ. **ვარაზ გერდი** / **ვარაზ გერდი** – ადგილი (ბერიძე... 2020: 723).

გორა

დიდგორა (ბერიძე... 2020: 722). ეტიმოლოგია ნათელია.

თავი

გალოსთავი (< კალოს თავი) – სახნავ-სათესი ადგილი.

რუვი/რუი

ახალრუი (< ახალი რუ) – ყანა-ქალის სახელი. ეტი-

მოლოგია ნათელია.

დიდრუი (< დიდი რუ). ეტიმოლოგია ნათელია. შდრ. **დიდრუი** – ადგილის სახელი (ბერიძე... 2020: 724). **დიდრუი** დასტურდება მარტყოფშიც (იქვე: 722).

ზეფთ რუი. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

თავქე რუი. ეტიმოლოგია ნათელია.

ქოვით რუი – ყანა-ჭალის სახელი. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა. შდრ. **ქოვით რუი** (ბერიძე... 2020: 722).

ღელე

ჩერღელი – სახნავ-სათესი ადგილი.

ხერსისღელე. პარალელურად იხმარება: **ხერს-დარე** (خس دره) – „დათვის ხეობა“. სპარს. **ხერს** „დათვი“. შდრ. **ხირსიდარა** (< ხერსის დარა) სოფ. ჩუღრუთში. ადრე ფერეიდანში ძალიან ბევრი დათვი იყო.

ყარო (< წყარო)

სამზეყარო

ჩარვადარისყარო. **ჩარვადარი** სპარს. **ჩაპრ ფა და-**რ-იდან (چاپر فادر) მომდინარეობს, რაც „პირუტყვით მოვაჭრეს“ ნიშნავს. შდრ. **ჩარვადარი წყარო** (ბერიძე... 2020: 724).

ჯავადასყარო – ჯავადას კუთვნილი წყარო. **ჯავადა** საკუთარი სახელია.

ხარაბასყარო. სპარს. **ხარაბა** „დანგრეული“.

ყელი

ქამარყელი. სპარს. **ქამარ** „მთებს შუა“.

ყრა

მეოროყრა (< მეორე ყრა). ირანში ნებისმიერი უძრავი ქონება და სახნავ-სათესი ადგილი იყოფა ექვს ნაწილად, რასაც „დანგ“ ეწოდება. **მეორე ყრა** – ექვსი დანგიდან (ნაწილიდან) მეორე ნაწილი.

მესამეყრა. მესამე ყრა გულისხმობს ექვსი დანგიდან (ნაწილიდან) მესამეს.

ჯვარი

ნაონჯვარი. მიკროტოპონიმში შემონახულია ქართული **ჯვარი**. ტოპონიმის წარმომავლობა შეიძლება ასე აიხსნას: **ნაომარი ჯვარი > ნაომჯვარი > ნაონჯვარი**.

2. საზღვრულად გამოიყენება სპარსული, თურქული, არაბული წარმომავლობის სიტყვები: **ბააყე** „ბაღი“, **ბააყე** „ბაღია“, **გარდანე** „ყელი“, **დარე** „ხეობა“, **ესთეილ** „წყალსაცავი“, **თაფე** „გორა“, **მაზრა** „ჭალა, ყანა“, **მაჰალე** „უბანი“, **რაჰ** „გზა“, **ქოლა** „მონადირეების სამალავი მთაში“, **ქუჰე** „მთა“, **ყალჰე** „ციხე-სიმაგრე“, **ყანათ** „მიწის-ქვეშა სარწყავი არხი“, **ყარ** „გამოქვაბული“, **ჩეშმე** „წყარო“, **ჯუბ** „რუ“... ამ ტიპის მიკროტოპონიმებში მსაზღვრელიც მეტწილად უცხოური წარმომავლობისაა. სპარსული ენის წესისამებრ, ჯერ საზღვრულია წარმოდგენილი, შემდეგი კი – მსაზღვრელი.

ბააყე (სპარს. „ბაღი“)

ბაყე თაფემოსალა (بغ تپت مصلی) – თურქ. **თაფე** „ბორცვი“, არაბ. **მოსალა** „სალოცავი ადგილი“.

ბაყე თაფედირუსთაი (بغ تپت دی روستای) –

„სოფელ რუსთავის ბორცვის ბაღი“. ეს მიკროტოპონიმი საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში დაცულია სოფლის ძველი სახელწოდება – **რუსთავი**. „...აქუსს წინად ორი სხვა სახელი ჰქმევია. ჯერ ყოფილა ამის ადგილას დეი (სოფელი) რუისპირი, შემდეგ დეი (სოფელი) რუსთავი“ (ალ-ნიაშვილი, 1896: 189).

ბაყე ნესარ (باسن غاب) – „ჩრდილიანი ბაღი“. სპარს. **ნესარ** „ჩრდილიანი“.

ბაყე ყარაგოლ (باسن قو گل) – თურქ. **ყარა** „შავი“, **გოლ** „წყალსაცავი“.

ბააყე (სპარს. (بغچه – „ბაღია“

ბაყე გალე (گل) – სპარს. **გალე** „ფარა“.

ბაყე ასიაბ (آسایب) – სპარს. **ასიაბ** „წისქვილი“.

ბაყე სონბოლ (سبب) – არაბ. **სონბოლ** „თავთავი“.

გარდანე < გარდანეჰ (სპარს. (گردان، قهلی

გარდანე გავსორხე (گردان واگرس) – სპარს. **გავსორხე** „წითელი ხარი“.

გარდანე დაჟეგნ (گردان آهنگ) – სომხურ სოფ. დაჟეგანსა და აფუსს შორის მდებარე ყელი.

გარდანე მოყანდარ (گردان مرغزار) – სოფელ მოყანდარსა და აფუსს შორის მდებარე ყელი.

გარდანე ჯანგა (گردان جنگ) – სპარს. **ჯანგ** „ომი“. ჯანგა ადგილია, სადაც ტერიტორიების გამო სოფელ ახიასა და აფუსს შორის რამდენიმე ომი მოხდა.

დარე < დარეჰ (სპარს. დარა (دره) – „ხეობა“

დარე ბიაბ (دره آب) – უწყლო ხეობა. სპარს. **ბი აბ** „უწყლო“.

დარე სიბჰა (دره سیب) – ვაშლის ხეობა. სპარს. **სიბ** „ვაშლი“.

დარე სორხიჰა (دره سرخ) – წითელი ხეობა. სპარს. **სორხ** „წითელი“.

დარეჰ ქალა(ა)ლი (دره کالی) **ქალ** წოდებაა, რომელიც ერაყის ქალაქ ქარბალაში დაკრძალულ შიიტთა იმამის პილიგრიმებს ეწოდება. **ალი** საკუთარი სახელია.

დარე ფარვიზ (دره فریزي) – დიდი ხეობაა აფუსის სამხრეთით. **ფარვიზ** საკუთარი სახელია. ჩუღრუთელები და ახჩაველები ამ ხეობას **დარა ფევრიზ**ს უწოდებენ.

დარე ფაჰნეჰ (دره فاهن) – „ფართო ხეობა“. სპარს. **ფაჰნ** „ფართო“.

დარე ყებლეჰ (دره قهلی) – არაბ. **ყებლეჰ** „მეცისკენ მიმართული მხარე“, საიტყენაც მუსლიმები ღოცულობენ. ეს ხეობა და მთა ადრე მოსახლეობას ღოცვის მიმართულებას უჩვენებდა.

დარე ჩაჰი (دره چای) – სპარს. **ჩაჰ** „ჭა“. შდრ. **ჭას ღელე** სოფელ ჩუღრუთში.

დარე დეი (دره دی) – სახნავ-სათესი ადგილი. **დეი** „დეჰ“-ის კუთხური ვარიანტია, „სოფელს“ აღნიშნავს.

ესთეილ (استیل)

ფერეიდანში **ესთეილი** ჰქვია პატარა წყალსაცავს, სადაც წყალს აგროვებენ ყანების მოსარწყავად, სიტყვის წარმომავლობა გაურკვეველია.

ესთილე დეირუსთაი (سورید ایست) – „სოფელ რუსთავის წყალსაცავი“.

ესთილე ვარაზგერდ (درگ زرو ایست) – ვარაზგერდის წყალსაცავი.

ესთილე მაზრაშიანე (سایم ارزم ایست) – შუაყანების წყალსაცავი.

ესთილე სარჩეშმე (سارچشیم ایست) – სპარს. **სარჩეშმე** „წყაროს თავი“.

ესთილე ქოვითრუი (ویوتیوی ایست) – ქვემოთრუს წყალსაცავი.

ესთილე შიშდონგი (گیشیش ایست) – **დონგ/დანგ** უძრავი ქონების დაყოფის ერთეულია. ყველა უძრავი ქონება იყოფა ექვს დანგად (ნაწილად).

ესთილე ჩუყი (یوچ ایست) – **ჩუყ** სპარს. **ჩუბ**-ის ადგილობრივი გამოთქმაა, რაც „ჯოხის, ხეს“ აღნიშნავს.

ესთილე ხინჯანი (یخین ایست) (< ესთილე ხინჭიანი) „ხინჭიანი წყალსაცავი“. ფერეიდნულში **ხინჭა** „კენჭი“.

თაფე (თურქ. **ბორცვი**)

თაფე ბარაფთაბ (بافت آب) – სპარს. **ბარაფთაბ** „მზიანი მხარე“.

თაფე ბაბუჩა (چوب آب) – ბაბუჩას ბორცვი.

თაფე ბოზმორად (بزم آب) – სპარს. **ბოზ** „თხა“, **მორად** საკუთარი სახელია.

თაფე დაჯიგან < თაფე დაჟეგან (گاجان) – დაჟეგანი სომხური სოფელი იყო აფუსის მეზობლად, დღესდღეობით ნანგრევებია შემორჩენილი.

თაფე დეირუსთაი (سورید ایست) – „სოფელ რუსთავის ბორცვი“.

თაფე დორ (ر آب) – „მარგალიტის ბორცვი“. არაბ. **დორ** „მარგალიტი“.

თაფე მოსალა (لص آب) – არაბ. **მოსალა** „ლოცვის ადგილი“.

თაფე მუში (شوم آب) – „თაგვის ბორცვი“. სპარს. **მუშ** „თაგვი“.

თაფე საგაგო (گاس آب) – ადგილობრივთა ახსნით, ამ ადგილას ამზადებდნენ თიხის ჭურჭელს – კოკას და სახელიც შესაბამისად დაერქვა. სავარაუდოდ, **საგაგო < საკოკე**.

თაფე ფალანგ (گل آب) – „ვეფხვის ბორცვი“. სპარს. **ფალანგ** „ვეფხვი“.

თაფე ჩალამუში (شوم آغا) – რას აღნიშნავს, **მაზრა** (არაბ. مزرا) – „ყანა-ჭალა, სახნავ-სათესი ადგილი“.

მაზრა ბიაბ (آب یازم) – „უწყლო ყანა-ჭალა“. სპარს. **ბიაბ** „უწყლო“.

მაზრა გენჯიპა (پا گنج ارزم) – კენჭებიანი ყანა-ჭალა. **გენჯი** < კენჭი, **პა** სპარსულში მრავლობითის ნიშანია.

მაზრა გორგი. შდრ. მარტყოფში არის **გორგის მაზრა**. მიკროტოპონიმი ენის დაკარგვის პროცესში ითარგმნა სპარსულად.

მაზრა მიანეპ (پا یازم), „შუა ყანა-ჭალა“. სპარს. **მიანეპ** „შუა“.

მაზრა მილიჩ (چلی ارزم). **მილიჩ** ძველი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს „ჩიტს“.

მაზრა ჭალაქ (کلی ارزم). არაბ. **ჭალაქ** „ცა“.

მაზრა ყელაყ (چالغ ارزم). **ყელაყ** სპარს. **ქალალ**-ის კუთხური ფორმაა, რაც „ყორანს“ ნიშნავს.

მაჰალე (არაბ. **მაჰლი** – „უბანი“)

მაჰალე ასარხანე (سارخانی) – **ასარ ხანა** ზეთის გამოსახდელი ადგილი. არაბ. **ასარ** „ზეთის გამომხდელი“, სპარს. **ხანა** „ადგილი, სახლი“.

მაჰალე დერაზეჯუბ (بوج زار) – რუს გაგრძელებაზე მდებარე უბანი. სპარს. **დერაზ** „სიგრძე“, **ჯუბ** სპარსული „ჯუი“ს კუთხური ვარიანტია, რაც „რუს“ აღნიშნავს.

მაჰალე დუსთი (دست) – სპარს. **დუსთ** „მეგობარი“.

მაჰალე მეიდან (میدانی) – არაბ. **მეიდან** „მოედანი“.

მაჰალე მიანე (میان) – „შუა უბანი“. სპარს. **მიან** „შუა“.

მაჰალე რამაზი (رامزی) – რამაზის უბანი.

მაჰალე ფოშთერუდხუნე (شور آب) – სპარს. **ფოშთ** „უკანა“, **რუდხანე** „მდინარე“.

მაჰალე შიშანი (شیشانی) – შიშანის უბანი. შიშანი ერთ-ერთი ქართული საგვარეულოა სოფელში.

ქოლა (کلی) – მონადირეების მიერ მთაში ქვით აგებული ჩასაფრების ადგილი

ქოლა აყა მაჯიდ (مجدی آقا) – **აყა მაჯიდ** საკუთარი სახელია.

ქუპე (სპარს. **ჰო** – „მთა“)

ქუპე დაჟეგან (گاجان) – სომხურ სოფელ დაჟეგანთან ახლოს მდებარე მთა.

ქუპე სორხ (سرخ) – „წითელი მთა“. სპარს. **სორხ** „წითელი“.

ქუპე ხარაბე (هرا) – „დაქცეული მთა“. სპარს. **ხარაბა** „დაქცეული“.

ყალყე (არაბ. **ყალყი** – „ციხე-სიმაგრე“)

ყალყე ბალა (آب قلعه) – „ზემო ციხე“. სპარს. **ბალა** „ზემო“.

ყალყე ფაინ (پای قلعه) – „ქვემო ციხე“. სპარს. **ფაინ** „ქვემო“.

ყარე (არაბ. **ყარა** – „გამოქვაბული“)

ყარე სედარეპა (پا سرد) – სამი ხეობის გამოქვაბული. სპარს. **სე** „სამი“, თურქ. **დარე** „ხეობა“.

ჩეშმე (چشم) სპარს. „წყარო“

ჩეშმე ბალა (آب چشم) – „ზემო წყარო“. უბნის სახელიც არის. სპარს. **ბალა** „ზემო“.

ჩეშმე ბარაფთაბ (بافت آب چشم) – სპარს. **ბარაფთაბ** „მზიანი მხარე“.

ჩეშმე დარედუი (درد چشم) – სოფლის ხეობის წყარო.

ჩეშმე ვარაგერდ (درگ زرو چشم) – ვარაგერდის წყარო.

ჩეშმე ზარინე (پا چشم) – სპარს. **ზარინე** „ოქროსფერი“.

